# ბედემის მთა

დაპატიმრებიდან ოცდამერვე დღეს საკნის კარი გაიღო და სანათით ხელში შემოვიდნენ ფორმიანები. „ბერო ნათობიშვილი!“ - გაისმა მკაცრი ხმა და ახალგაზრდა კაციც კარგად მიხვდა, რას ნიშნავდა ეს გვიანი სტუმრობა.

მდუმარედ წამოდგა და უკან გაჰყვა სიკვდილის მაცნეებს. ეგრე, ხმისამოუღებლად განვლო მთელი გზა, ვიდრე დასახვრეტად განწირული ადამიანებით გავსებული მანქანა სოღანლუღის მარცხნივ მდებარე მინდორთან გაჩერდებოდა და ხელის კვრით ჩამოაგდებდნენ წინასწარგათხრილ საერთო საფლავთან.

საკუთარ სამარეს ჩაუშტერა თვალები და ვიდრე სიკვდილი დააჩნდებოდა სახეზე, ბოლოჯერ დაწყევლა ის ღვთისმშობლობა, ცამეტი წლით ადრე ბედემის მთაში რომ დასთენებოდა...

მაშინაც ოცდამერვე დღე იყო, უჩვეულოდ ცივი აგვისტოს საღამო ყმაწვილისთვის, რომელსაც ოდაშვიდ დღეს მალულად ევლო საშიშ ტყეებში და იარაღი ეზიდა იმ ხალხთან, წარმოუდგენელ ამბავს რომ აპირებდა.

ამბავი კი მართლაც წარმოუდგენელი იყო: გოლიათს ეჭიდებოდა პატარა ბიჭი.

მაგ ბიჭის ისტორია ხევსურეთიდან იწყებოდა და სწრაფად გადადიოდა სხვა მთებში, ეგრე ედებოდა იმ ქვეყანას, ჯერაც რომ ვერ გაეგო ევროპა იყო თუ აზია, დასავლეთი თუ აღმოსავლეთი.

თუმცა ეგ სხვა დროისა და სხვა ხალხის საქართველოა, - კოტე აფხაზისა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის საქართველო, რომელსაც ბოლოჯერ სჯეროდა ასე ძლიერ ასეთი დაუჯერებელი...

ოცდარვა აგვისტოს ღამეს, როცა ბედემის ტყეებში გაუგონარმა ცნობამ ააღწია ერთი დღით ადრე დაწყებულ აჯანყებაზე, ბერო ნათობიშვილმა უჩვეულო სიმტკიცით ჩაიდო გულში ბრაზიც და დარდიც, რომელიც დარჩენილ ცამეტ წელიწადს ვეღარ გამოინელა. მოგვიანებით, ხშირად იხსენებდა ხოლმე იმ ღამეს და სწამდა, რომ ეგ უკანასკნელად იყო, რაც მართლა შეიძლებოდა მომხდარიყო და დიდ კაცთან პატარა კაცს გასვლოდა მართალი.

მერე სხვანაირი საქართველო დაიწყო.

ჩაშვებების, უსირცხვილო საქართველო. იმიტომ, რომ სხვა ამბავი დაიჯერეს ქართველებმა. იმას კი ვერ მიხვდნენ, რომ ასე იქნებოდა თუ ისე, კრემლში წამომჯდარი ხელმწიფე მაინც წითლად მონიშნავდა დავიწყებულ სამშობლოს და უამრავი ადამიანი

გაუყვებოდა ციმბირის მოყინულ გზას. უეცრად, სულ რაღაც ერთ წელიწადში გაჩნდებოდა ათასობით ქვრივი და ობოლი, რომლებიც სამუდამოდ ისწავლიდნენ შიშს და ყალბ ღიმილებს.

იცოდა ნათობიშვილმა, რომ აუცილებლად დადგებოდა ეგ დღე. ოცდამერვე იქნებოდა თუ ოცდამეათე, მაინც წაიყვანდნენ, რადგანაც ვერაფრით მოეშორებინა ფიქრი უბატონო და უხელმწიფო საქართველოზე.

მთის კაცი იყო ბერო ნათობიშვილი.

1924 წლის 28 აგვისტოს, ერთ ღამეში შეეცნო ცხოვრება ჩვიდმეტი წლისას და სხვანაირი დაბრუნებულიყო მთიდან. თან ჩამოეტანა მთელი საუკუნე, - ის წლები, რომლებშიც უფრო გვიან უნდა ეცხოვრა; ის გზები, რომლებიც უფრო გვიან უნდა გაევლო და კიდევ ცოდნა, რომ ამიერიდან სხვანაირი საქართველო დაიწყებოდა.

მაგიტომაც მოხდა, რომ როცა ცამეტი წლის შემდეგ მისკენ მიშვერილი იარაღებისთვის ზურგი შეექცია, საკუთარ საფლავს კი არა, ბედემის მთას ხედავდა და ჩურჩულით იმეორებდა: „ოდამერვე დღეს ავიტანე ბოლო იარაღიო.“